

**შეტყობინება მეთერთმეტა
მწყემსები ღმერთის გულის თანახმად**

ადგილები წერილიდან: იერ. 2:8; 3:15; 10:21; 23:1-4; ესაია 40:11; ეზეკ. 34:11-31; იოანე 10:11; ეპრ. 13:20-21; 1 პეტ. 2:25; 5:2, 4; გამოცხ. 7:16-17

- I. იგჰოვა საუბრობდა წინასწარმეტყველ იერემიას მეშვეობით მწყემსებზე,
მმართველებზე – იერ. 2:8; 10:21:
- ა. მწყემსები, მმართველები, ჩადიოდნენ დანაშაულს იგჰოვას წინააღმდეგ;
ისინი არ ეძებდნენ იგჰოვას, და მათი ფარა გაიფანტა – 2:8; 10:21.
 - ბ. მწყემსები ღუპავდნენ და ფანტავდნენ იგჰოვას საძოვრის ცხვრებს – 23:1-2.
 - გ. იოეპოვა დაპირდა, რომ ის შეკრებს თავისი სამწყსოს ნატამალს და
დააბრუნებს მათ თავიანთ საძოვარზე და რომ წამოაყენებს მათზე
მწყემსებს, რომლებიც მწყემსავენ მათ, და ისინი ინაყოფიერებენ და
გამრავლდებიან – მუხ. 3-4.
 - დ. იგჰოვა დაპირდა, რომ მისცემდა მწყემსებს ისრაელს თავისი გულის
თანახმად; ასეთი მწყემსები მისცემენ ღმერთის ხალხს ღმერთის სათანადო
ცოდნასა და გაგებას – 3:15.
- II. ძველ აღთქმაშიც და ახალ აღთქმაშიც იხსნება ქრისტე როგორც მწყემსი
ღმერთის გულის თანახმად – ესაია 40:11; ეზეკ. 34:11-31; იოანე 10:11; ეპრ. 13:20-21;
1 პეტ. 2:25; 5:4; გამოცხ. 7:16-17:
- ა. ქრისტე როგორც ძლევამოსილი, მმართველი და გამსამართლებელი, მოდის
როგორც მწყემსი; ის ზრუნავს თავის სამწყსოზე იმის მეშვეობით, რომ
მართავს თავს ცხვრებს და უსწორებს სავალ გზას თავის ცხვრებს და
კვებავს თავის სამწყსოს, აგროვებს კრავებს თავის ხელში, ატარებს მათ
თავის წიაღში და წინ მიუძღვის მათ, ვინც კვებავს ახალგაზრდებს – ესაია
40:10-11; მათე 2:6; 9:36.
 - ბ. ეზეკ. 34:11-31-ში ჩვენ ვხედავთ წინასწარმეტყველებას იმაზე, რომ უფალი
თვითონ მოვა როგორც მწყემსი, რათა ეძებოს თავისი ცხვრები და მოიძიოს
ისინი:
 1. როგორც მწყემსი, უფალი მოაგროვებს თავის ხალხს, თავის ცხვრებს,
ერებიდან და დააბრუნებს მათ ქანაანის მიწაზე, რომელიც არის
წინასახე ყოვლისმომცველი ქრისტესი როგორც ღმერთის ხალხისთვის
მიცემული ხვედრის, რათა მათ იცხოვრონ მაღალ მთებზე, რომლებიც
აღნიშნავენ აღმდგარ და ამაღლებულ ქრისტეს – მუხ. 11, 14.
 2. როდესაც უფალი იესო მოდის როგორც მწყემსი, რათა იზრუნოს
ჩვენზე, ის ასევე მოდის როგორც მეფე, რათა გვმართოს ჩვენ; უფლის,
როგორც ჩვენი მწყემსის, ზრუნვის შედეგი ჩვენზე არის ჩვენი
მორჩილება მისდამი როგორც ჩვენი მეფისადმი და დამორჩილება მისი
მეფობისადმი და მისი ტახტისადმი ჩვენ შიგნით – მუხ. 23-24.
 - ბ. ქრისტე არის კეთილი მწყემსი, დიადი მწყემსი, მთავარი მწყემსი და
მწყემსი ჩვენი მშვინვების – იოანე 10:9-17; ეპრ. 13:20-21; 1 პეტ. 5:4; 2:25.

1. როგორც კეთილი მწყემსი, უფალი იქსო მოვიდა, რომ ჩვენ გვქონდეს სიცოცხლე, და გვქონდეს უხვად – ითანე 10:10-11:

 - ა) მან დადო თავისი მშვინვა სიცოცხლე, თავისი ადამიანური სიცოცხლე, აღასრულა თავისი ცხვრებისათვის გამოსყიდვა, რათა მათ გაეზიარებინათ მისი „ზოე“ სიცოცხლე, მისი დვთაებრივი სიცოცხლე – მუხ. 11, 15, 17.
 - ბ) მას გამოპყავს თავისი ცხვრები ფარებიდან და შეჰყავს ისინი თავის თავში როგორც საძოვარზე, გამოკვების ადგილას, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფლად ჭამონ მისგან და გამოიკვებონ მისგან – მუხ. 9.
 - გ) უფალმა წარმოქმნა იუდეველი და წარმართი მორწმუნებისაგან ერთი სამწყსო (ეკლესია, ქრისტეს სხეული) თავისი მწყემსობის ქვეშ – მუხ. 16.

2. დმერთმა ადადგინა მკვდრეთით „ცხვრის დიდი მწყემსი, ჩვენი უფალი იქსო, მარადიული აღთქმის სისხლში“ – ებრ. 13:20

 - ა) მარადიული ანდერძი არის ანდერძი ახალი აღთქმის, რომ მოიპოვოს სამწყსო, რომელიც არის ეკლესია, და რომელიც საბოლოოდ ხდება ქრისტეს სხეული და მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში.
 - ბ) როგორც დიადი მწყემსი, უფალი ახალი ანდერძის შინაარს ხდის ნამდვილს ჩვენთვის და შევყავართ ჩვენ უკელა დადებითი მომენტის განცდასა და ტკბობაში, რომლებიც გახსნილია ებრაელთა მიმართ წერილში – 8:8-13; 1:1-3; 2:9-18; 5:6-10, 14; 7:16, 22, 24-26; 13:1, 8, 12-15.

3. როგორც მთავარი მწყემსი, ქრისტე მწყემსავს თავის სამწყსოს ეკლესიების უხეცესების მეშვეობით – 1 პეტ. 5:4:

 - ა) უხეცესების მწყემსობის გარეშე ეკლესია ვერ აშენდება – მუხ. 2.
 - ბ) უხეცესების მწყემსობა უნდა იყოს ქრისტეს მწყემსობა მათი მეშვეობით.

4. როგორც ჩვენი მშვინვების მწყემსი, პნევმატური ქრისტე თვალყურს ადევნებს ჩვენს შინაგან მდგომარეობას, ზრუნავს ჩვენი შინაგანი არსების სიტუაციაზე – 2:25:

 - ა) ის გვმწყემსავს ჩვენ, ზრუნავს ჩვენი სამშვინველის კეთილდღეობაზე და თვალყურს ადევნებს ჩვენი შინაგანი არსების მდგომარეობას.
 - ბ) ვინაიდან ჩვენი მშვინვა ძალიან რთულია, ჩვენ გვჭირდება, რომ ქრისტე, რომელიც არის მაცოცხლებელი სული ჩვენს სულში, გვმწყემსავდეს ჩვენ ჩვენს მშვინვაში იმ მიზნით, რომ იზრუნოს ჩვენს გონებაზე, გრძნობებსა და ნებაზე, და ასევე ჩვენს პრობლემებზე, საჭიროებებსა და ჭრილობებზე.

- გ) როგორც მწყემსი ჩვენი სამშვინველების, უფალი აღადგენს ჩვენს სამშვინველს და მოსვნებას აძლევს ჩვენს სამშვინველს – ფსალ. 23:3; მათე 11:28-30.
5. მარადისობაში მომავალში ქრისტე იქნება ჩვენი მარადიული მწყემსი, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ სიცოცხლის წყლის წყაროებზე – გამოცხ. 7:16-17:
- ა) როგორც ჩვენი მარადიული მწყემსი, ქრისტე მიგვიყვანს ჩვენ თავის თავში როგორც სიცოცხლის წყლის წყაროებში, რათა ჩვენ დავტკბეთ სამერთიანი ღმერთის მარადიული დარიგებით – მუხ. 17ა.
 - ბ) ჩვენ მივიღებთ შეწევნას სიცოცხლის წყლებით, ხოლო ცრემლების წყალი იქნება მოწმენდილი – მუხ. 17ბ.
 - გ) ქრისტეს მწყემსობის ქვეშ მარადისობაში არ იქნება არც ცრემლები, არც შიმშილი და არც წყურვილი, იქნება მხოლოდ ტკბობა – მუხ. 16-17.
- III. თავის ზეციურ მსახურებაში უფალი იესო აგრძელებს მწყემსობას, რომელიც მან დაიწყო თავის მიწიურ მსახურებაში – ებრ. 13:20-21:
- ა. იოანეს 21:15-17-ში უფალმა მისცა პეტრეს დავალება, რომ გამოეკვება მისი კრავები და დაემწყემსა მისი ცხვრები მის არყოფნისას, სანამ ის იქნებოდა ზეცაში; ამის მეშვეობით მოციქულთა მსახურება აღმოჩნდა ჩართული ქრისტეს ზეციურ მსახურებაში იმ მიზნით, რომ დაემწყემსა ღმერთის სამწყსო:
 1. ის, რასაც უფალი აკეთებდა ზეცაში, მოციქულები აკეთებდნენ დედამიწაზე უფლის ზეციური მსახურების განსახორციელებლად – ებრ. 13:20-21; იოანე 21:15-17.
 2. მწყემსობასთან დაკავშირებით, მოციქულთა მსახურება თანამშრომლობს ქრისტეს ზეციურ მსახურებასთან – მუხ. 15-17. - ბ. მოციქული პავლე არის იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა მწყემსო წმიდანები ქრისტეს მწყემსობასთან თანამშრომლობაში მის ზეციურ მსახურებაში – ებრ. 13:20-21; 7:25-26; 1 ტიმ. 1:16; 2 კორ. 1:3-4; საქმე. 20:20:
 1. პავლე მწყემსავდა წმიდანებს როგორც მკვებავი დედა და დამრიგებელი მამა – 1 თეს. 2:7-8, 11-12.
 2. პავლე მწყემსავდა წმიდანებს ეფესოში, ასწავლიდა მათ „სახალხო და სახლებში“ (საქმე. 20:20) და შეაგონებდა თითოეულ წმიდანს ცრემლებით სამი წლის განმავლობაში (მუხ. 31, 19), და აუწყებდა მათ ღმერთის ყველა გადაწყვეტილებას (მუხ. 27).
 3. პავლეს პეტრი ფართო გული, რაც ნებას აძლევდა მას, რომ პეტრი მსახურების სიცოცხლის თბილი ზრუნვა – 2 კორ. 7:2-3; 1 თეს. 2:8; ფილიპ. 2:19-20.
 4. პავლე დავიდა სუსტების დონეზე, რათა მოეპოვებინა ისინი – 2 კორ. 11:28-29; 1 კორ. 9:22; შდრ. მათე 12:20.

5. ოოგორც ის, ვისაც უყვარდა ეკლესია ეკლესიის მოყვარულ
ქრისტესთან ერთად, პავლე მზად იყო დაეხარჯა ის, რაც მას ჰქონდა
(იგულისხმება მისი ქონება) და დაეხარჯა ის, რაც ის იყო
(იგულისხმება მისი არსება), წმიდანების გულისთვის, რათა აშენდეს
ქრისტეს სხეული – ეფეს. 5:25; 2 კორ. 12:15; 11:28-29.

IV. ის, ვინც მწყემსაგს ღმერთის სამწყსოს, უნდა მწყემსოს ღმერთის თანახმად – 1 პეტ. 5:2:

- ა. მწყემსვა ღმერთის თანახმად – ნიშნავს მწყემსვაგს იმის თანახმად, რასაც
წარმოადგენს ღმერთი თავის თვისებებში – რომ. 9:15-16; 11:22, 33; ეფეს. 2:7;
1 კორ. 1:9; 2 კორ. 1:12.
- ბ. მწყემსვა ღმერთის თანახმად – ნიშნავს მწყემსვას ღმერთის ბუნების,
სურვილის, გზისა და დიდების თანახმად, და არა ჩვენი უპირატესობების,
ინტერესების, მიზნებისა და მიდრეკილებების თანახმად.
- გ. იმისათვის, რომ ვმწყემსოთ ღმერთის თანახმად, ჩვენ უნდა გავხდეთ
ღმერთი სიცოცხლით, ბუნებით, გამოხატულებითა და ფუნქციით – იოანე
1:12-13; 3:15; 2 პეტ. 1:4:
1. ჩვენ უნდა ვიყოთ კვლავწარმოქმნა ქრისტესი, ღმერთის
გამოხატულება, რათა ჩვენს მწყემსობაში ჩვენ გამოვხატოთ ღმერთი,
და არა ჩვენი „მე“ მის მიდრეკილებებთან და უცნაურობებთან ერთად
– იოანე 1:18; ებრ. 1:3; 2:10; რომ. 8:29; გალ. 4:19.
 2. ჩვენ უნდა გავხდეთ ღმერთი მისი ფუნქციით – ვმწყემსოთ ღმერთის
სამწყსო იმის თანახმად, რასაც ის წარმოადგენს, და მისი მიზნის
თანახმად მის სახლმშენებლობაში – ეფეს. 4:16; გამოცხ. 21:2.
 3. როდესაც ჩვენ ერთი ვართ ღმერთთან, ჩვენ ვხდებით ღმერთი
სიცოცხლითა და ბუნებით დ ჩვენ ვართ ღმერთი ჩვენ მიერ სხვა
ადამიანების მწყემსვაში – 1 იოანე 5:11-12; 2 პეტ. 1:4; 1 პეტ. 5:2.

V. მწყემსობა, რომელიც აშენებს ქრისტეს სხეულს, არის ურთიერთ მწყემსობა – 1 კორ. 12:23-26:

- ა. მწყემსო – ნიშნავს გამოვლინო ყოვლისმომცველი, სათუთი ზრუნვა
სამწყსოზე – იოანე 21:15-17; საქმე. 20:28.
- ბ. ყველა მორწმუნეს მიუხედავად თავისი სულიერი დონისა სჭირდება
მწყემსვა.
- გ. ჩვენ ყველანი უნდა ვიმყოფებოდეთ ქრისტეს ორგანული მწყემსობის ქვეშ
და ვიყოთ ერთი მასთან, რათა ვმწყემსოთ სხვები – 1 პეტ. 2:25; იოანე 21:16.
- დ. ჩვენ უნდა ვმწყემსოთ ღმერთის სამწყსო მამის მოყვარული და მპატიებელი
გულის თანახმად და მის მძებნელი, მპოვნელი და მწყემსავი სულის
თანახმად – ლუკა 15:4-24, 32.
- ე. ჩვენ ვართ ცხერებიც და მწყემსებიც: ჩვენ ვმწყემსავთ და ჩვენ ვართ ისინი,
ვისაც მწყემსავენ, ურთიერთობაში, ამ ურთიერთ მწყემსობის წყალობით
სხეული აშენებს თავის თავს სიყვარულში – ეფეს. 4:16.